პროლეტარიელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 18 თებერვალი, 1943 წ. № 40 (6665). ფასი 20 კაპ.

ხარკოვი განთავისუფლებულია!

წითელმა არმიამ ხარკოვი დაიკავა! ეს ოთხი სიტყვა ელვასავით მოედო გუშინ საბჭოების ქვეყნის ყველა კუთხეს, დედამიწის ყველა ქვეყანას და მხურვალედ ააძგერა დიდი გამარჯვების სიხარულით მილიონობით ადამიანთა გული. ყველა ჯერ კიდევ იმ გამარჯვების ამბით გამოწვეული შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება, რაც მოიპოვა წითელმა არმიამ ჰიტლერელთა ჯარებზე როსტოვსა და ვოროშილოვგრადში, რომელთა დაკავებას მთელი მსოფლიო აფასებს, როგორც წითელი არმიის ახალ ტრიუმფს, როგორც შედეგს ბრძნული სტალინური სტრატეგიისას, რაც ბრწყინვალედ ხორციელდება, ხოლო უკვე დღეს საბჭოების ქვეყანა კიდევ უფრო მეტი სიხარულით არის აღტაცებული: საზიზღარი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულია სიდიდით მეორე ქალაქი უკრაინისა, რომელიც დიდხანს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი იყო. განთავისუფლებულია უდიდესი კულტურული და სამრეწველო ქალაქი, რომელშიც აგებული იყო სტალინური ხუთწლედების ისეთი პირმშოები, როგორიც არის ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა.

ხარკოვი მტერმა ხელში ჩაიგდო 1941 წლის ოქტომბრის დამლევს, მის მისადგომებზე წარმოებული ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ. ხარკოვის მრეწველობა ევაკუირებულ იქნა; უდიდესი ქარხნები, მთელი მოწყობილობით, მასალებით და მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა კადრებით, გადატანილ იქნა სსრ კავშირის სიღრმეში, შორს აღმოსავლეთში. ევაკუირებულ იქნა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და სატრანსპორტო საშუალებანი. 120.000 მოკლული და დაჭრილი ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 450 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 3.000 ავტომანქანა, 200-ზე მეტი ქვემეხი—აი ის ფასი, რომელიც გაიღეს გერმანელმა ოკუპანტებმა ხარკოვისათვის ბრძოლების დროს 1941 წლის შემოდგომაზე.

15 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ხარკოვი ჰიტლერელი ოკუპანტების სისხლიან ქუსლქვეშ იმყოფებოდა; მას აწამებდნენ გესტაპოს საზიზღარი ჯალათები. საზარელი იყო ეს თვეები. უკრაინაში მტრის თარეშის თითოეული დღე საშინელი წამების, სიკვდილის დასჯის, აბუჩად აგდების დღეა. ხარკოვიდან და ხარკოვის ოლქიდან გერმანელებმა ათეულათასობით კაცი გარეკეს გერმანიაში—ფაშისტურ კატორღაში. ათეულათასობით საბჭოთა ადამიანები — უკრაინელები, რუსები, ებრაელები დახვრიტეს, ჩამოახრჩეს, აწამეს. პირველსავე დღეებში ხარკოვის სახლების აივნებზე ჩამოხრჩობილ იქნა 116 მშვიდობიანი მცხოვრები, და გერმანელებმა აკრძალეს მათი გვამების ჩამოხსნა.

ძნელია ჩამოსთვალო ყველა სისხლიანი მხეცობა, ყველა ბოროტმოქმედება ჰიტლერელებისა, რომლებმაც ამოცანად დაისახეს გაჟლიტონ უკრაინელი ხალხი, დაიმონონ ცოცხლად დარჩენილნი, მოსპონ უკრაინული კულტურა, გააგერმანელონ დიდი უკრაინელი ხალხი. გერმანელებმა, როცა ისინი ლიპეცკის რაიონის სოფელ სტრელნიეში შეიჭრნენ, დახვრიტეს 480 კაცი, რომლებიც საავადმყოფოში იწვნენ. ასე ამყარებდნენ გერმანელი ჯალათები თავიანთ საზიზღარ კაციჭამიურ „ახალ წესრიგს“.

ხელში ჩაიგდეს რა უკრაინის აყვავებული ოლქები და რაიონები, გერმანელებმა ცეცხლითა და მახვილით იწყეს მონობისა და ბატონყმობის დანერგვა. მათმა საზიზღარმა რწმუნებულმა კოხმა ჰიტლერელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს აღუთქვა, რომ უხვად უბოძებდა უკრაინის მიწას და უკრაინელ მონებს. უკრაინა გაძარცვეს, გააგვარანეს, აოხრეს, უკრაინელი ხალხი დამცირებულია, დაჩაგრულია. გლეხებისა და ქალაქელებისათვის ჰიტლერელებმა ფიზიკური სასჯელი შემოიღეს.

როცა მტერმა ხელში ჩაიგდო ხარკოვი, იგი იკვეხნიდა, „დონბასის კარიბჭე“ დავიკავეო.

1941 წლის ოქტომბერში მთელი ჰიტლერული პრესა ზეიმობდა ხარკოვის აღებას.

25 ოქტომბერს გერმანელები რადიოთი აცხადებდნენ: „დაიკავეს რა ხარკოვი, გერმანიის ჯარებმა ხელთ იგდეს საბჭოთა სამხედრო მრეწველობისა და ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ამ ქალაქში საბჭოთა მთავრობამ შეჰქმნა დიდი სამხედრო ქარხნები, რომლებიც ამზადებდნენ ყოველივე იმას, რაც თანამედროვე არმიას სჭირდება, დაწყებული ტანკებისათვის განკუთვნილი ტყვიამფრქვევით და გათავებული საავიაციო ბომბებით“.

მტერი ყოველნაირად აზვიადებდა თავისი გამარჯვების მნიშვნელობას. გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის“ ბერლინელი კორესპონდენტი იმასაც კი იუწყებოდა, რომ „ხარკოვის მახლობლად გერმანელებმა აღმოაჩინეს ევროპაში წინათ უცნობი ნავთის სარეწები, რომელთა სიმძლავრე უდრის 7 მილიონამდე ტონას წელიწადში“.

რას იტყვიან ჰიტლერელები დღეს, როცა საბჭოთა მეომრებმა გააძევეს ისინი ხარკოვიდან და მიერეკებიან უფრო შორს — დასავლეთისაკენ?

ერთ დღესაც კი არ შეწყვეტილა ბრძოლა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ უკრაინაში. საზიზღარი დამპყრობნი არა ერთხელ აუცახცახებიათ მომაკვდინებელ შიშს მათ მიერ დაპყრობილ ქალაქებში. ვერ დაიმორჩილეს და ვერც დაიმორჩილებენ ისინი უკრაინელ ხალხს!

1941 წლის ნოემბერში უკრაინელი ხალხის წარმომადგენელთა მიტინგმა მოწოდებით მიმართა „უკრაინელ ხალხს“. „დაე დაიღუპოს მტერი. დაე მან იცოდეს, რომ უკრაინა მის წინაშე არ დაიჩოქებს. თავისუფლებისმოყვარე უკრაინელები, მშობლიური ქვეყნისათვის სახელოვანი მებრძოლების—დანილო გალიცკისა და საგაიდაჩნის, ბოგდან ხმელნიცკისა და ბოგუნის, ტარას შევჩენკოს და ივანე ფრანკოს, მიკენკოს და მიკოლა შჩორსის შთამომავალნი, არასოდეს არ იქნებიან გერმანელთა მონები. საბჭოთა ხალხების თავისუფალ ოჯახში იზრდებოდა და ჰყვაოდა უკრაინა... ძმებთან ერთად ვიბრძოლეთ ჩვენი ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის... იბრძოლეთ, ძმებო და დებო, სამშობლოს ბრწყინვალე ბედისათვის. მოაახლოეთ ჩვენი გამარჯვების ჟამი. ჟლიტეთ გერმანელი ქოფაკები, აფართოეთ წითელ პარტიზანთა რიგები, დაეხმარეთ სახალხო შურისმგებლებს მათს წმიდა საქმეში.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

სიკვდილი საზიზღარ მოღალატეებს, რომლებიც უკრაინის ულმობელ ჯალათებს ემსახურებიან!“

უკრაინელმა ხალხმა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებმა იციან, თუ რას ნიშნავს გერმანელი ოკუპანტებისაგან ხარკოვის განთავისუფლება. ეს არის უმნიშვნელოვანესი ეტაპი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან მთელი საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისა. ეს არის დასაწყისი ყველა იმ ვარაუდის სრული ჩაფუშვისა, რომელსაც ჰიტლერელი ყაჩაღები ამყარებდნენ უკრაინის ხორბალსა და ქონზე, ქვანახშირსა და ლითონზე. წითელი არმია ზედიზედ ათავისუფლებს მტრის მიერ დროებით დაპყრობილ ოლქებს. გერმანელები ვერავის ვერ მოატყუებენ, გარდა საკუთარი თავისა, უბადრუკი, ცრუ ცნობებით იმის შესახებ, რომ ისინი „ასწორებენ ფრონტს“, რომ სტოვებენ ნაკლებმნიშვნელოვან სოფლებსა და დაბებს. წითელმა არმიამ სამ თვეზე ნაკლები ხნის განმავლობაში გაათავისუფლა საძულველი მტრისაგან **საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ცენტრები:** ნალჩიკი, სტავროპოლი, კრასნოდარი, ელისტა, კურსკი, დონის როსტოვი, ვოროშილოვგრადი, გასწმინდა ჰიტლერული სიბილწისაგან სტალინგრადისა და ვორონეჟის ის უბნები, რომლებიც მათ დაკავებული ჰქონდათ.

ახლა განთავისუფლებულია ხარკოვი. განსაკუთრებით დიდია სახელოვანი საბჭოთა მეომრების ამ გამარჯვების მნიშვნელობა. ეს არის წითელი არმიის უდიდესი გამარჯვება ჰიტლერულ არმიაზე, საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე. ხარკოვი დაიკავეს საბჭოთა მეომრებმა, რომელთა სამხედრო ოსტატობაც გაუუზომლად გაიზარდა, იგი დაკავებულია ჰიტლერელთა რჩეული ჯარების წინააღმდეგ წითელი არმიის ნაწილების შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ. ნოემბრის დამლევიდან გერმანელებმა დასავლეთიდან აღმოსავლეთის ფრონტზე სასწრაფოდ გადმოიყვანეს 19 ქვეითი და 3 სატანკო დივიზია. გარდა ამისა, მანამდე გზაში იყო მტრის 9 დივიზია, რომლებიც დასავლეთიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იგზავნებოდნენ. ხარკოვს იცავდნენ ჰიტლერული დივიზიები, რომლებიც ნაცადი ფაშისტი ავაზაკებისაგან შედგებოდნენ. ხარკოვისათვის ბრძოლებში განადგურებულია გერმანელთა კორპუსი „სს“, რომელშიც შედიოდა ორი სატანკო დივიზია — „ადოლფ ჰიტლერი“ და „რაინი“ და მოტოდივიზია „დიდი გერმანია“, აგრეთვე გერმანელთა მთელი რიგი ქვეითი დივიზიები და სპეციალური ნაწილები. სულ ახლახანს ისინი, გამარჯვებით დამთვრალნი, მედიდურად მიაბიჯებდნენ პარიზის ქუჩებში. ახლა მათ სიკვდილი ჰპოვეს ხარკოვის ქუჩებში და მის მისადგომებზე.

დიდება ჩვენს სახელოვან მეომრებს, რომელთაც გაანადგურეს ჰიტლერელ ყაჩაღთა ყველაზე რჩეული ნაწილები! ხარკოვის განთავისუფლებისათვის და ამ რაიონში მოწინააღმდეგის გასანადგურებლად წარმოებული ოპერაცია განხორციელებულია იმ ჯარების ჯგუფის ძალებით, რომელთაც გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. გოლიკოვი სარდლობს. ხარკოვისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ამხ. მოსკალენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. რიბალკოს, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. კაზაკოვისა და გენერალ-მაიორ ამხ. სოკოლოვის ნაწილებმა. ხარკოვში პირველნი შეიჭრნენ გენერალ-მაიორ ამხ. ზაიცევის, პოლკოვნიკ ამხ. კოსტიცინის, გენერალ-მაიორ ამხ. მარტიროსიანის ნაწილები.

ხარკოვის აღება ბრწყინვალედ შესრულებაა უმაღლესი მთავარსარდლობის იმ ფართოდ მოფიქრებული გეგმის ნაწილისა, რომელსაც მიზნად დასახული აქვს გეგმაზომიერად გაათავისუფლოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყალი.

განადგურებული მტრის დივიზიების ანგარიში განუწყვეტლივ მატულობს. წითელი არმიის შეტევითი ძალა, როგორც ამას ყველანი ხედავენ, სულ უფრო და უფრო ძლიერდება, მისი შეტევის ტემპები თანდათან იზრდება, ბრძოლის შედეგები სულ უფრო და უფრო საგრძნობი და მნიშვნელოვანი ხდება.

წითელი არმია, რომელიც დიდი სტალინის ბრძანებებს, უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძნულ გეგმებს ასრულებს, წინ მიდის და გერმანელ ოკუპანტთაგან ათავისუფლებს ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს. მან იცის, რომ მას ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლები მოელის, მაგრამ იგი გრძნობს თავის ძალას, იგი დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში, და ვერაფერი ვერ შეაჩერებს მას იმ გზაზე, რომელსაც იგი მტერზე გამარჯვებისაკენ მიჰყავს.

სიხარულის დღეებს განიცდის უკრაინის იმ რაიონების, ოლქების, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა, რომლებსაც წითელი არმია ათავისუფლებს. დასრულდა მათთვის საზიზღარ გერმანელ ფაშისტ არამზადათა ბატონობის კოშმარული დღეები. დადგა აღდგენისა და განახლების ჟამი.

რთული და პასუხსაგებია უკრაინის ბოლშევიკების ამოცანები. საჭიროა სწრაფად აღმოეჩინოს დახმარება უკრაინის მუშებს, გლეხებს, მშრომელებს მეურნეობის აღდგენაში. არც ერთი წუთით არ შეიძლება დაყოვნება. ახლავე უნდა დაიწყოს სამრეწველო საწარმოების, საქალაქო მეურნეობის, სკოლებისა და სხვა კულტურული დაწესებულებების აღდგენა, აღორძინება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აღდგენა და ენერგიულად უნდა დაიწყოს საბჭოთა საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. ყოველივე ამან შრომითი მამაცობისათვის უნდა აღფრთოვანოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები უკრაინისა, რომელიც ახლა თავისუფლდება. დახმარების გაწევა ხელეწიფებოდეს ამ საათებში ჩვენ ყველანი, ყველა ჩვენი ძალა, ყველა ჩვენი ენერგია, ყველა ჩვენი ნიჭიერება, ყველა ჩვენი ცოდნა, ყველა ჩვენი ბედნიერება, ყველა ჩვენი ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის... იბრძოლეთ, ძმებო და დებო, სამშობლოს ბრწყინვალე ბედისათვის. მოაახლოეთ ჩვენი გამარჯვების ჟამი. ჟლიტეთ გერმანელი ქოფაკები, აფართოეთ წითელ პარტიზანთა რიგები, დაეხმარეთ სახალხო შურისმგებლებს მათს წმიდა საქმეში.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

სიკვდილი საზიზღარ მოღალატეებს, რომლებიც უკრაინის ულმობელ ჯალათებს ემსახურებიან!“

უკრაინელმა ხალხმა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებმა იციან, თუ რას ნიშნავს გერმანელი ოკუპანტებისაგან ხარკოვის განთავისუფლება. ეს არის უმნიშვნელოვანესი ეტაპი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან მთელი საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისა. ეს არის დასაწყისი ყველა იმ ვარაუდის სრული ჩაფუშვისა, რომელსაც ჰიტლერელი ყაჩაღები ამყარებდნენ უკრაინის ხორბალსა და ქონზე, ქვანახშირსა და ლითონზე. წითელი არმია ზედიზედ ათავისუფლებს მტრის მიერ დროებით დაპყრობილ ოლქებს. გერმანელები ვერავის ვერ მოატყუებენ, გარდა საკუთარი თავისა, უბადრუკი, ცრუ ცნობებით იმის შესახებ, რომ ისინი „ასწორებენ ფრონტს“, რომ სტოვებენ ნაკლებმნიშვნელოვან სოფლებსა და დაბებს. წითელმა არმიამ სამ თვეზე ნაკლები ხნის განმავლობაში გაათავისუფლა საძულველი მტრისაგან **საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ცენტრები:** ნალჩიკი, სტავროპოლი, კრასნოდარი, ელისტა, კურსკი, დონის როსტოვი, ვოროშილოვგრადი, გასწმინდა ჰიტლერული სიბილწისაგან სტალინგრადისა და ვორონეჟის ის უბნები, რომლებიც მათ დაკავებული ჰქონდათ.

ახლა განთავისუფლებულია ხარკოვი. განსაკუთრებით დიდია სახელოვანი საბჭოთა მეომრების ამ გამარჯვების მნიშვნელობა. ეს არის წითელი არმიის უდიდესი გამარჯვება ჰიტლერულ არმიაზე, საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე. ხარკოვი დაიკავეს საბჭოთა მეომრებმა, რომელთა სამხედრო ოსტატობაც გაუუზომლად გაიზარდა, იგი დაკავებულია ჰიტლერელთა რჩეული ჯარების წინააღმდეგ წითელი არმიის ნაწილების შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ. ნოემბრის დამლევიდან გერმანელებმა დასავლეთიდან აღმოსავლეთის ფრონტზე სასწრაფოდ გადმოიყვანეს 19 ქვეითი და 3 სატანკო დივიზია. გარდა ამისა, მანამდე გზაში იყო მტრის 9 დივიზია, რომლებიც დასავლეთიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იგზავნებოდნენ. ხარკოვს იცავდნენ ჰიტლერული დივიზიები, რომლებიც ნაცადი ფაშისტი ავაზაკებისაგან შედგებოდნენ. ხარკოვისათვის ბრძოლებში განადგურებულია გერმანელთა კორპუსი „სს“, რომელშიც შედიოდა ორი სატანკო დივიზია — „ადოლფ ჰიტლერი“ და „რაინი“ და მოტოდივიზია „დიდი გერმანია“, აგრეთვე გერმანელთა მთელი რიგი ქვეითი დივიზიები და სპეციალური ნაწილები. სულ ახლახანს ისინი, გამარჯვებით დამთვრალნი, მედიდურად მიაბიჯებდნენ პარიზის ქუჩებში. ახლა მათ სიკვდილი ჰპოვეს ხარკოვის ქუჩებში და მის მისადგომებზე.

დიდება ჩვენს სახელოვან მეომრებს, რომელთაც გაანადგურეს ჰიტლერელ ყაჩაღთა ყველაზე რჩეული ნაწილები! ხარკოვის განთავისუფლებისათვის და ამ რაიონში მოწინააღმდეგის გასანადგურებლად წარმოებული ოპერაცია განხორციელებულია იმ ჯარების ჯგუფის ძალებით, რომელთაც გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. გოლიკოვი სარდლობს. ხარკოვისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ამხ. მოსკალენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. რიბალკოს, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. კაზაკოვისა და გენერალ-მაიორ ამხ. სოკოლოვის ნაწილებმა. ხარკოვში პირველნი შეიჭრნენ გენერალ-მაიორ ამხ. ზაიცევის, პოლკოვნიკ ამხ. კოსტიცინის, გენერალ-მაიორ ამხ. მარტიროსიანის ნაწილები.

ხარკოვის აღება ბრწყინვალედ შესრულებაა უმაღლესი მთავარსარდლობის იმ ფართოდ მოფიქრებული გეგმის ნაწილისა, რომელსაც მიზნად დასახული აქვს გეგმაზომიერად გაათავისუფლოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყალი.

განადგურებული მტრის დივიზიების ანგარიში განუწყვეტლივ მატულობს. წითელი არმიის შეტევითი ძალა, როგორც ამას ყველანი ხედავენ, სულ უფრო და უფრო ძლიერდება, მისი შეტევის ტემპები თანდათან იზრდება, ბრძოლის შედეგები სულ უფრო და უფრო საგრძნობი და მნიშვნელოვანი ხდება.

წითელი არმია, რომელიც დიდი სტალინის ბრძანებებს, უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძნულ გეგმებს ასრულებს, წინ მიდის და გერმანელ ოკუპანტთაგან ათავისუფლებს ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს. მან იცის, რომ მას ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლები მოელის, მაგრამ იგი გრძნობს თავის ძალას, იგი დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში, და ვერაფერი ვერ შეაჩერებს მას იმ გზაზე, რომელსაც იგი მტერზე გამარჯვებისაკენ მიჰყავს.

სიხარულის დღეებს განიცდის უკრაინის იმ რაიონების, ოლქების, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა, რომლებსაც წითელი არმია ათავისუფლებს. დასრულდა მათთვის საზიზღარ გერმანელ ფაშისტ არამზადათა ბატონობის კოშმარული დღეები. დადგა აღდგენისა და განახლების ჟამი.

რთული და პასუხსაგებია უკრაინის

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის სახალხოკომსაბჭოს თავმჯდომარეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ელექტროსადგურ „დენსნას“ მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა ფრონტისადმი თავიანთი დახმარების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, გადარიცხეს თავიანთი ხელფასისა და დანაზოგის ნაწილი. შეიკრიბა რა მიტინგზე სადგურის კოლექტივმა გადასწყვიტა:

1) უზრუნველჰყოს თავისი სადგურის უავარიო მომუშაობა; მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXV წლისთავისათვის დაზოგოს 160 ტონა სათბობი, 20.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია, შეასრულოს ელექტროენერგიის გამომუშავების ორი თვის გეგმა.

2) ბომბდამშენთა ესკადრილია „საბჭოთა ნავსადგურის“ ასაგებად უკვე შეგროვებულია და გადარიცხულია 88.000 მანეთი; გაჩაღებულია სახსრების დამატებით შეგროვება.

3) სამხედრო სესხის შესატანთა გადახდის დამთავრებასთან დაკავშირებით ეთხოვოს სსრ კავშირის მთავრობას გამოუშვას ახალი სესხი „გერმანელი ოკუპანტების საბოლოო განადგურებისა“.

დაე სახელმწიფოსათვის ჩვენ მიერ მიცემული სესხი და პირადი დანაზოგის ანარიცხები გადაიქცეს შემმუსვრელ იარაღად გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ და მოაახლოოს ჩვენი აყვავებული სამშობლოს საბოლოო განთავისუფლება.

მიტინგის დავალებით ხელს აწერენ:

ფედოროვი, სარჭისოვი, ირტეგოვა, ბელი, კრავცოვა, კრასნოვი, ზახაროვი, ბოგბრიცკი, სმელიკი, კუზნეცოვი, აკურატოვი, კისელიოვი, გარჩენკოვი.

საბჭოთა ნავსადგური, ელექტროსადგური „დენსნა“

ამხანაგებს ფედოროვს, სარჭისოვს, ირტეგოვას, ბელის, კრავცოვას, კრასნოვს, ზახაროვს, ბოგბრიცკის, სმელიკს, კუზნეცოვს, აკურატოვს, კისელიოვს, გარჩენკოვს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ელექტროსადგურ „დენსნას“ მუშებს, მუშა ქალებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც 88.000 მანეთი შეაგროვეს ბომბდამშენთა ესკადრილია „საბჭოთა ნავსადგურის“ მშენებლობისათვის.

თქვენი თხოვნა მხედველობაში იქნება მიღებული მთავრობის მიერ.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახალხოკომისრის თავმჯდომარეს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ვასრულებთ რა თქვენს მითითებას ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების შესახებ, ჩვენ, № 347 ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა სახელმწიფო ბანკში სატანკო კოლონა „უაზახეთის კოლმეურნის“ ასაგებად შევიტანეთ 138.000 მანეთი. თქვენი ბრძანებით აღფრთოვანებულმა წითელმა არმიამ გერმანელთა ურდოები გაანადგურა სტალინგრადთან, ვორონეჟთან და დონზე, წარმატებით ერეკება გერმანელებს სულ უფრო შორს დასავლეთისაკენ და ჰიტლერული სიბილწისაგან სწმენდს ჩვენს წმიდა მიწა-წყალს. სდგას გადაუდებელი ამოცანა, დახმარება გავუწიოთ დანგრეული ქალაქების სულ მალე აღდგენას და გერმანელ ოკუპანტთაგან დაზარალებულ მოსახლეობას. გვსურს რა დავაჩქაროთ გმირული ქალაქის სტალინგრადის აღდგენა, მის აღსადგენ ფონდში შევაგროვეთ 100.000 მანეთი და გთხოვთ მისცეთ მითითება გახსნან სახელმწიფო ბანკში ანგარიში ქალაქ სტალინგრადის აღსადგენად. მთელი ჩვენი ქვეყანა იცავდა ქალაქ სტალინგრადს, და საბჭოთა ხალხი მიიღებს მონაწილეობას დიდი ქალაქის აღდგენაში, რომელიც თქვენს სახელს ატარებს.

გაუმარჯოს ჩვენს მამაც წითელ არმიას და მის დიდ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

ქარხნის დირექტორი იაბლოკოვი
ხაკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი მალახოვი
ქარხკომის თავმჯდომარე ერშოვი
პარტიის ჩრდილოეთ უაზახეთის საოლქო კომიტეტის მდივანი როდინი

№ 347 ქარხნის დირექტორს ამხანაგ იაბლოკოვს
საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგს ამხანაგ მალახოვს
ქარხკომის თავმჯდომარე ერშოვს
პარტიის ჩრდილოეთ უაზახეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. როდინს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა № 347 ქარხნის მუშებს, მუშა ქალებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს, რომლებმაც 138.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „უაზახეთის კოლმეურნის“ ასაგებად და 100.000 მანეთი ქალაქ სტალინგრადის აღსადგენად.

მითითება სახბანკში ქალაქ სტალინგრადის აღსადგენად სპეციალური ანგარიშის გახსნის შესახებ გაცემულია.

ი. სტალინი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ალექსი ეგოროვის-ძე ბადაევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. ა. ე. ბადაევის 60 წლის შესრულებასთან დაკავშირებით და საბჭოთა ხალხის წინაშე მისი დამსახურების გამო, დაჯილდოებულ იქნას ამხ. ალექსი ეგორის-ძე **ბადაევი ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 16 თებერვალი.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

გუშინ, 17 თებერვალს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **გ. თ. სტურუამ** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა მუშაკთა იმ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 12 იანვრის ბრძანებულებით თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობაში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის **წითელი დროშის** ორდენი გადაეცათ: სპეცმშენებლობის რაიონის უფროსს ვალერიან ილარიონის-ძე **ვარაზაშვილს,** იმავე მშენებლობის მეარმატურეთა ბრიგადირს ივანე ექვთიმეს-ძე **ზიაბკინს,** მბურღავს სევერიან იოსების-ძე **სადუნიშვილს** და ბრიგადირს ვლადიმერ ტროფიმეს-ძე **სოლოდოვნიკოვს.**

მედალი **„ხაბრძოლო დამსახურებისათვის“** გადაეცა **ა. ი. ბაბუნაშვილს, ნ. ი. გოგიჩაიშვილს, ა. ჭ. გრიგორიანს, ზ. ხ. ზლოტკინს, კ. ლ. კვინიკაძეს, მ. მ. ლავროვს, პ. ხ. ლომაიას, ვ. მაკარევიჩს, ვ. ა. მაჭარაშვილს, თ. მ. პლეშაკოვს, ი. მ. სოკოლენკოს** და **ა. ა. უშაკოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად თავდაცვითი და სახალხოსამეურნეო ტვირთების გადაზიდვა-გადმოზიდვის დარგში მთავრობისა და წითელი არმიის სარდლობის, დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის **შრომის წითელი დროშის ორდენი** გადაეცათ: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამფიდი წყვრს, ტექნიკისა და მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორს კირიაკ სამსონის-ძე **ზავრიევს** და იმავე ინსტიტუტის პროფესორს ვასილ ალექსანდრეს-ძე **მაისურაოვს.**

საპატიო ნიშნის ორდენი გადაეცათ: თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსს კოსტანტინე დარისპანის-ძე **სარალიძეს** და თბილისის საელმავლო დეპოს მექანიკური საამქროს უფროსს ვახტანგ იასონის-ძე **მაღალაშვილს.**

მედალი **„შრომითი მამაცობისათვის“** გადაეცა ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორს **მ. ა. მოსტკოვს,** ხოლო მედალი **„შრომითი წარჩინებისათვის“** — იმავე ინსტიტუტის დოცენტს **შ. ბ. ჯიჯინაძეს.**

შემდეგ ამხ. გ. თ. სტურუამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები გადასცა მუშაკთა იმ ჯგუფს, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 3 იანვრის ბრძანებულებით თავდაცვითი მნიშვნელობის ნაგებობათა მშენებლობაში დავალებათა საუცხოოდ შესრულებისათვის დაჯილდოებული არიან სიგელებით. სიგელები გადაეცა 10 კაცს.

ამხ. გ. თ. სტურუამ გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ უმაღლესი ჯილდოების მიღება და უსურვა მათ შემდგომი წარმატებანი.

კაპიტანი გ. ბარბაქაძე

„ლენინგრადთან“—ამ სათაურით ვს. ვიშნევსკი 1943 წლის 11 თებერვლის „პრავდაში“ აქვეყნებს წერილს, რომელშიც მოგვითხრობს სამამულო ომის ორდენით დაჯილდოებულ კაპიტან ბარბაქაძის, საბრძოლო ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს.

კაპიტანი ბარბაქაძე კადრის საზღვაო არტილერიის ოფიცერია. იგი შავი მუშა იყო თბილისში. შემდეგ კომკავშირელ ბარბაქაძე მოემზადა და შეიდა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში. 1932 წელს მას აგზავნიან სევასტოპოლის უკრაინის ალკა სახელობის საჰაერო დაცვის სასწავლებელში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს. აქედან იგი მიდის ბალტიკის საბრძოლო-საზღვაო ფლოტში. სამამულო ომში იგი პირველი დღიდანვე მონაწილეობს.

„...ტყეში,—სწერს ვსევოლოდ ვიშნევსკი,—დგას კაპიტან ბარბაქაძის მოძრავი ბატარია, რომელიც უძველესია ბალტიკაზე. ბატარიაზე ბალტიკის მეზღვაურები არიან, რომელთა სიმამაცე დაუშრეტელი და უსაზღვროა. ამ ბატარიაზე გერმანელები ჯერ კიდევ 1941 წელს ნადირობდნენ. ტყეე გერმანელმა მფრინავმა, რომელიც ჩამოგდებული იყო ნარვასთან, განაცხადა:

— თქვენს რკინიგზაზე მოძრაობს რაღაც საზღვაო ნაგებობა, რომელსაც „ბარბაქაძეს“ ეძახიან“.

ამ „ბარბაქაძემ“ ბევრ გერმანელს გაავლო მუსარი, თავგადი აწყვეტინა. მაგალითად ერთ-ერთ ბრძოლაში პრეობრაჟენსკის ეკლესიასთან, სადაც გერმანელთა 170-ე დივიზიის წინააღმდეგობის კვანძი იყო, „ორნახევარი საათის მიმდინარეობდა სროლა. გერმანელთა 170-ე დივიზია განადგურებულ იქნა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“.

ბოლშევიკების ამოცანები

აგიტატორთა დასახმარებლად

ლენინი და სტალინი—წითელი არმიის ბელადები და ორგანიზაციორები

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორები და ბელადები ლენინი და სტალინი იმ ბრძოლის მთელი ისტორიის მანძილზე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და მშრომელნი ეწეოდნენ თავისი განთავისუფლებისათვის, უნერგავდნენ ხალხს სიყვარულს თავისი სამშობლოსადმი, იმის შეგნებას, რომ მხოლოდ იარაღით ხელში შეიძლება მისი ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა. ჯერ კიდევ 1905 წელს ლენინი სწერდა: „პოლიტიკური თავისუფლებისა და კლასობრივი ბრძოლის დიდ საკითხებს, საბოლოო ანგარიშით, მხოლოდ ძალა სწყვეტს, და ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ ამ ძალის მომზადებისა და ორგანიზაციისათვის და მისი არა მარტო თავდაცვითი, არამედ შეტევითი გამოყენებისთვისაც (თხზ., ტ. VIII, გვ. 42)).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება 1917 წელს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ლენინი და სტალინი და მათი ხელმძღვანელობით მოქმედი ბოლშევიკური პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მუშათა კლასის შეიარაღებას, მის სამხედრო-ტექნიკურ მომზადებას, შეიარაღებული ბრძოლის ხელოვნებას. ბოლშევიკური პარტიამ ამ პერიოდში ფრიად ბევრი რამ გააკეთა წითელგვარდიელთა რაზმების ორგანიზაციისათვის, მათი გაწრთვნისა და შეიარაღებისათვის. ბოლშევიკური პარტია მუშაობდა ძველ არმიაში და რევოლუციის მხარეზე გადმოჰყავდა მისი საუკეთესო ელემენტები.

საბჭოთა რუსეთის ყველაზე საშიში მტერი მისი არსებობის პირველ პერიოდში გერმანიის იმპერიალიზმი იყო. გერმანიის სამხედრო ხროვა, რომელიც მთელი რიგი ათეული წლების მანძილზე ემზადებოდა რუსეთზე გამოსალაშქრებლად და ოცნებობდა მისი დაშლისთვის და სამხრეთი ტერიტორიების დაპყრობაზე, შეეცადა ესარგებლნა საბჭოთა რესპუბლიკის დროებითი სამხედრო სისუსტით და დაიწყო ლაშქრობა უკრაინისა და პეტროგრადზე.

ძველ არმიას ბრძოლის უნარი არ ჰქონდა და არ შეეძლო შეესრულებინა გარიდან თავდასხმისაგან სოციალისტური სამშობლოს დაცვის ამოცანა. ამ ამოცანის შესრულება შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ქვეყნის ახალ არმიას—მუშათა და გლეხთა წითელ არმიას.

1918 წ. 15 (28) იანვარს ლენინის ხელმოწერით გამოიცა დეკრეტი მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის შესახებ. ეს დეკრეტი დაგვირგვინება იყო იმ უდიდესი შემოქმედებითი მუშაობისა, რომელიც ბოლშევიკურმა პარტიამ ჩაატარა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელთა შეიარაღებული ძალების ორგანიზაციისათვის — წითელგვარდიელთა იმ რაზმების შექმნიდან, რომლებიც იბრძოდნენ ბარიკადებზე 1905 წელს, ძლევამოსილ დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. ამ დეკრეტის საფუძველზე იქმნებოდნენ წითელი არმიის პირველი რაზმები. წითელ არმიაში ღებულობდნენ მხოლოდ იმათ, ვინც მზად იყო თავისი ძალღონე, თავისი სიცოცხლე შეეწირა საბჭოების ხელისუფლების დასაცავად. წითელ არმიაში შედიოდა ყველაზე შეგნებული ნაწილი მუშებისა, რომლებიც უკვე ორგანიზებული იყვნენ წითელგვარდიელთა რაზმებად და უკვე გავლილი ჰქონდათ ერთგვარი სამხედრო წრთვნა, ძველი არმიისა და ფლოტის ცალკეული რევოლუციურად განწყობილი ნაწილები, შედიოდა ღარიბი გლეხობა.

1918 წლის 18 თებერვალს, როდესაც რუსი ხალხის საძულველმა მტერმა — გერმანელმა იმპერიალისტებმა, ისარგებლეს რა ტროცკისტებისა და ბუხარინელების გამეცმლობით, ვერაგულად დაარღვიეს დროებითი ზავის პირობები და დაიწყეს შეტევა მთელ ფრონტზე, ახალგაზრდა წითელმა არმიამ თავისი საბრძოლო ნათლობა მიიღო.

ეს იყო უაღრესად საშიში მომენტი საბჭოთა ქვეყნისათვის. საბჭოთა რესპუბლიკა საშინელი საფრთხის წინაშე იდგა. ლენინმა გამოაცხადა, რომ „სოციალისტური სამშობლო საფრთხეში“ იყო.

ლენინი და სტალინი სათავეში ედგნენ პეტროგრადის დაცვას, რომელისკენაც მიმართეს გერმანელებმა თავისი ძირითადი დარტყმა. ათეულათასობით მოხალისე შეეშალა წითელ არმიას. 1918 წ. 23 თებერვალს წითელმა არმიამ მძლავრად დაარტყა გერმანელ ოკუპანტებს ნარვასთან და პსკოვთან. გერმანელთა ჯარების შემოტევა ჯერ შეჩერებულ იქნა, შემდეგ კი წითელი არმიის დარტყმებით გერმანელთა პოლკებმა უკან დახევა იწყეს. ეს დღე გახდა წითელი არმიის დაბადების დღე.

წითელი არმიის არსებობის პირველმა წელმა ნაიარა გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლის ნიშნით, რომლებმაც დაიპყრეს ბალტიისპირეთი, ბელორუსია, უკრაინა, ჩრდილოეთი კავკასია. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ ლენინი და სტალინი. ამხანაგი სტალინი პირადად ხელმძღვანელობდა ცარიცინის დაცვას გერმანელთა დაქირავებული აგენტის გენერალ კრასნოვის ბანდების წინააღმდეგ. 24 წლის შემდეგ იმავე ქალაქის კედლებთან, რომელიც ახლა ამხანაგ სტალინის სახელს ატარებს, გაჩაღდა ომების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა. 1918 წელს ცარიცინის გმირული დაცვა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ცოცხალ მაგალითს წარმოადგენდა წითელი არმიის ნაწილებისათვის, რომლებიც 1942-1943 წწ. იცავდნენ სტალინგრადს გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლნი, ბოლშევიკური პარტიის უდიდესი მოღვაწენი ამხანაგები მოლოტოვი, სვერდლოვი, ფრუნზე, ძერჟინსკი, ორჯონიკიძე, კიროვი, ვოროშილოვი და სხვები სამხედრო ხელმძღვანელები გახდნენ. ამ ვეებერთელა ფრონტის სხვადასხვა უბნებზე, რომლითაც ცეცხლის რკალივით შემოსალტული იყო საბჭოთა ქვეყანა, ძლეგამოსილად იბრძოდა წითელი არმია. ბრძოლაში იგი იზრდებოდა და მტკიცდებოდა, დისციპლინირებული ხდებოდა, ეუფლებოდა სამხედრო ხელოვნებას. ამ ბრძოლაში იზრდებოდნენ წითელი არმიის მზედათუფროსები, მწიფდებოდა საბჭოთა სამხედრო თეორია.

ლენინი და სტალინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ არმიაში სასტიკი დისციპლინის განმტკიცებას, ურომლისოდაც იგი მის წინაშე დასახულ ამოცანებს ვერ შეასრულებდა. პარტიის VIII ყრილობაზე სამხედრო საკითხის განხილვისას ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ან შევქმნით ნამდვილ მუშურ-გლეხურ, უპირატესად გლეხურ, სასტიკად დისციპლინირებულ არმიას და დავიცავთ რესპუბლიკას, ან დავიღუპებით“.

ინტერვენტებთან და თეთრგვარდიელებთან ბრძოლის მსვლელობაში შეიქმნა 5-მილიონიანი დისციპლინირებული წითელი არმია. იგი სუსტად შეიარაღებული, ცუდად ჩაცმული, უფეხსაცმლო იყო, ხშირად შიმშილობდა. მაგრამ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით მან გაანადგურა საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტერები. წითელი არმიის ძალა, უფრანგის ყოველისა, მდგომარეობდა მის გაწყვრილ კავშირში ხალხთან, მის მაღალ შეგნებულობაში, მის ერთგულებაში ლენინ-სტალინის საქმისადმი.

ლენინი და სტალინი ყურადღებას მიაპყრობდნენ მოცემულ მომენტში ბრძოლის ყველაზე საშიშ უბნებზე და იქით მიმართავდნენ წითელი არმიის მთავარ დარტყმებს. ამ დაკვრით ამოცანების უშუალო შესრულებას ლენინის წინადადებით პარტია მუდამ ანდობდა ამხანაგ სტალინს. ასე იყო პეტროგრადისათვის შექმნილი სფრთხის ლიკვიდაციის დროს. ასე იყო კოლჩაკის განადგურების მომზადების პერიოდში, ასე განხორციელებულ იქნა ამხანაგ სტალინის პირადი ხელმძღვანელობით და მისი გეგმით განადგურება დენიკინის არმიისა, თეთრპოლონელთა არმიისა, ვრანგელის არმიისა—თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა ამ უკანასკნელის იმედისა. იქ, სადაც ამხანაგი სტალინი გამოჩნდებოდა, სწრაფად იზრდებოდა ორგანიზებულობა, აღდგებოდა დისციპლინა და წესრიგი, უფრო ნათელი ხდებოდა მიზანი, უფრო მაგარი და სწრაფი ხდებოდა დარტყმები. ასე მწიფდებოდა გამარჯვება.

უკვე სამოქალაქო ომის მსვლელობაში ლენინი და სტალინი ხაზს უსვამდნენ ზურგის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ომში.

„ომის ნამდვილად წარმოებისათვის საჭიროა მტაიცე ორგანიზებული ზურგი,—სწერდა ლენინი. — ყველაზე უკეთესი არმია, რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგული ადამიანები დაუყოვნებლივ განადგურებული იქნებიან მოწინააღმდეგის მიერ, თუ ისინი საკმაოდ არ იქნებიან შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწრთვნილნი“ (თხზ., ტ. XXII, გვ. 304).

ამხანაგი სტალინი თავის გამოსვლებში არა ერთხელ აღნიშნავდა ხაზგასმით ზურგის მნიშვნელობას წითელი არმიისათვის. ლენინისა და სტალინის დაუცხრომელ ზრუნვას ზურგისათვის კოლოსალური მნიშვნელობა ჰქონდა წითელი არმიის შემდგომს განმტკიცებაში.

ამხანაგმა სტალინმა ლენინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოების სრულიად-რუსეთის II ყრილობაზე მთელი ჩვენი ქვეყნის სახელით დასდო ფიცი: „ჩვენ არ დავზოგავთ ძალ-ღონეს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი“.

საბჭოთა ქვეყანამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეასრულა ეს ფიცი. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე განუზომლად გაიზარდა წითელი არმიის საბრძოლო ძლიერება. იგი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე არმია სამხედრო-ტექნიკურის მხრივ. იზრდებოდნენ წითელი არმიის მეთაურთა კადრები, რომლებმაც საუცხოო თეორიული მომზადება მიიღეს ჩვენს სამხედრო აკადემიებში და ახლა ცხადყოფენ, რომ ნამდვილ ბელგოროდს გერმანელები ერთ წელიწადზე მეტ ხანს ინარჩუნებდნენ. ამ პუნქტებში მათი პოზიციები თითქოს მიუვალი იყო. მაგრამ საბჭოთა ჯარებმა ეს გამაგრებული ქალაქები განსაკუთრებული სისწრაფით დაიკავეს“.

უკრაინის დიდი ქალაქის კიდლებთან თავდადებით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა წარმომადგენლები. — თათარ კურაევს და ბაშკირ ისხაკოვს ერთად მოუხდათ უთანასწორო შება რამდენიმე ათეულ გერმანელთან. საბჭოთა მებრძოლებმა გრანატებითა და ავტომატთა ჯერებით 10 ჰიტლერელი დახოცეს, დანარჩენები კი გაჰფანტეს. ხელჩართულ შეტაკებაში აზერბაიჯანელმა მამედოვმა 12 გერმანელი გაწყვიტა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ქალაქს ჩვენი ნაწილები, მით უფრო გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ გერმანელები. ფაშისტთა სარდლობა სასიკვდილოდ სწირავდა თავისი განადგურებული პოლკების ნაშთებს. ჰიტლერელები სასწორზე აგდებდნენ ყველაფერს, რაც კი მოეპოვებოდათ. ბრძოლის ველზე გამოჩნდა პოლიციელთა ბატალიონიც კი, რომელიც საუანდარმო სასამართლოს ეწეოდა ხარკოვის ქუჩებში. ფაშისტებს ზედიზედ მოჰქონდათ იერიშები. ჰიტლერელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი ჯარების წინსვლა აღმოსავლეთის მხრიდან, ცაგრამ ამ დროს ქალაქს ხელ მიადგნენ საბჭოთა ქვეგანაყოფები, რომლებიც ჩრდილოეთიდან უტევდნენ.

დადგა გადამწყვეტი იერიშის ჟამი. ხარკოვში სხვადასხვა მიმართულებიდან შეიჭრნენ გენერალ-მაიორ ზაიცევის, პოლკოვნიკ კისტიკინის და გენერალ-მაიორ მარტიროსიანის ნაწილები. ქალაქის დასავლეთ გარეუბნიდან ჩვენმა ნაწილებმა ზურგში დაარტყეს მტერს, რომელსაც მთელი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც ფაშისტთა გარნიზონზე იერიში მიჰქონდათ სხვა საბჭოთა ნაწილების მებრძოლთ. მარტიროსიანის მებრძოლებმა გადამწყვეტი კვეთებით აიღეს მთა ხოლოდნაია, რომელიც თავს დაპყრობს ქალაქს. აქ ჩვენმა ქვეგანაყოფებმა სწრაფად დადგეს ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები და სროლა აუტეხეს მახლობელ ქუჩებსა და რკინიგზის ლაბადაზე, სადაც იერიშისათვის თავს იყრიდნენ „სს“-ელები.

ამ დროს ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაში მეავტომატეთა ჯგუფი გაიჭრა. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. მებრძოლები გრანატებით ერეკებოდნენ სახლებიდან „სს“-ელებს და ხიშტით ხოცავდნენ მათ. ქუჩაში ბრძოლა განსაკუთრებით შეუპოვარ ხასიათს იღებდა. „სს“-ელები გაშმაგებით იცავდნენ თითოეულ უბანს, თითოეულ სახლს. ქალაქში ჩვენი ნაწილების წინსვლას დიდძალი დანაღმული ველები აბრკოლებდა. ბევრ ადგილას სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა არა მარტო შენობებისათვის, არამედ კიბეებისა და ცალკეული ოთახებისათვისაც.

სასტიკ ბრძოლა გაჩაღდა ქალაქის ბანკის შენობასთან. სახლების ეზოებში, სარდაფებში და სხვენებზე მრავალი საათის სასტიკი შეტაკების შემდეგ მებრძოლებმა მტრისაგან გასწმინდეს ძერჟინსკის მოედანი. გერმანელები დასავლეთისაკენ უკუიქცნენ. ამ მომენტში გზატეხილზე, ერთად-ერთ კომუნიკაციაზე, რომელიც მოწინააღმდეგის ხელში იყო, ტანკები გამოიჭრნენ. მათ გადასთელეს უკანდახეული მტერი და დიდი ზარალი მიაყენეს მას. ჩვენი მებრძოლები მტრის წინააღმდეგობის უკანასკნელ კერებს იღებდნენ. ვინც კი იარაღი არ დაჰყარა, ყველა მოსპობილ იქნა. ქალაქის გარეუბნებსა და ქუჩებში გერმანელი ჯარისაკაცებისა და ოფიცრების მრავალი გვამი ჰყრია. გზაჯვარედინებზე, ქვის შენობებს ახლო, მტრისათვის წართმეული ქვემეხები, საწყვრები, ავტომანქანები და ტანკები დგას.

გერმანელებისაგან ტანჯული ქალაქი გამარჯვებას დღესასწაულობს. შენობებზე კვლავ აფრიალდა წითელი დროშები. ხარკოვის მოსახლეობა მიესალმება მებრძოლთ, რომლებმაც ისინი ჰიტლერული მონობისაგან გაათავისუფლეს.

ხარკოვი კვლავ საბჭოთა ქალაქი გახდა.

ბ. კრილოვი

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ხარკოვი

მოსკოვი არმია, 16 თებერვალი (საკადესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გადამწყვეტი იერიშის შედეგად, რომელიც შემდგომ ქუჩებში წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებად გადაიქცა, საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ხარკოვი. წითელმა არმიამ კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ხარკოვისათვის ბრძოლებში საბჭოთა ნაწილებმა გაანადგურეს გერმანელთა კორპუსი „სს“ ორი სატანკო დივიზიის—„ადოლფ ჰიტლერის“ და „რაიხის“ და მოტოდივიზია „დიდ გერმანიის“ შემადგენლობით და გერმანელთა რამდენიმე ქვეითი დივიზია და სპეციალური ნაწილები.

ფაშისტთა სარდლობას ხარკოვი დაცული ჰქონდა ძლიერ გამაგრებული ზღუდით, რომელიც მრავალ ათეულ კილომეტრზე იყო გაჭიმული. ქალაქის შორეულ მისადგომებზე გერმანელთა სიმაგრენი მდინარე ოსკოლს ეყრდნობოდნენ, ახლო მისადგომებზე კი — სევერნი დონეცს. მოწინააღმდეგე, ცდილობდა რა შეეჩერებინა ჩვენი ჯარების სწრაფი წინსვლა, თავის ნაწილებს ამ ზღუდეებზე უყრიდა თავს.

ჰიტლერელთა გეგმები ჩაიფუშა. საბჭოთა ტანკისტები, არტილერისტები, ქვეითები და მფრინავები დაყინებით სდევნიდნენ ფაშისტებს და საშუალებას არ აძლევდნენ მათ გადაეჯგუფებინათ თავიანთი ძალები და გამაგრებულიყვნენ ძირითადს თუ შუა ზღუდეებზე.

ბრძოლების თითოეული დღე სულ უფრო და უფრო სცლიდა სისხლისაგან გერმანელ ფაშისტთა ნაწილებს. ჩვენი ჯარების მიძალება რომ შეეჩერებინა, გერმანელთა სარდლობამ ხარკოვთან „სს“-ელთა კორპუსი გადმოყვანა. „სს“-ელთა რაზმები, ტანკებით გაძლიერებული, ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე ივნენ დაყენებულნი. ფაშისტები თავგანწირვით გვიწევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ უკუგდებულ იქნენ ჩვენი ჯარების შემტევი ტალღის მიერ.

ტყვედ წამოყვანილმა „სს“-ელთა პოლკ „დოიჩლანდის“ 1-ლი ბატალიონის უფროსმა ეფრეიტორმა რობერტ ბოლმა განაცხადა: „პირველივე ბრძოლების შემდეგ ასეულმა, რომელშიც მე ვიყავი, თავისი შემადგენლობის მესამედი ნაწილი დაკარგა. 60 ტანკიდან, რაც ჩვენს პოლკს ჰქონდა, მხოლოდ 20 დარჩა. დიდმა ზარალმა გვაიძულა უკუვქცეულიყავით. ჩვენ ისე სწრაფად ვიხევდით უკან, რომ დაჭრილთა წამოყვანასაც კი ვერ ვასწრებდით“.

იმ შემმუსვრელი დარტყმების შედეგად, რასაც ჩვენი პოლკები მტერს აგემებდნენ, შედრკნენ და უწესრიგოდ იწყეს უკანდახევა „სს“-ელთა სხვა ნაწილებმაც. საბჭოთა ჯარები ნახევარრკალად ერტყმოდნენ ქალაქს.

ხარკოვისაკენ! ეს სატყვები ბრძოლის ყიჟინად გაისმოდა. ისინი მებრძოლებსა და მეთაურებს წინ მოუხმობდნენ. ჩვენი ნაწილები თავიანთ გზაზე ყველა დაბრკოლებას აშსტვრევდნენ და ხარკოვისაკენ მიიწევდნენ. ღამისთა და ღამით, ქარბუქში, გაუვალი გზით, სისხლისმღვრელ ბრძოლებში იკაფავდნენ ქალაქისაკენ გზას მებრძოლნი, რომელნიც დასავლეთიდან უტევდნენ. ისინი ხელით მიათრევდნენ ქვემეხებს, სასტიკ ბრძოლებში ართმევდნენ მოწინააღმდეგეს თითოეულ მეტრ ტერიტორიას. მებრძოლნი ხედავდნენ გერმანელთა მიერ გადაბუგულ საბჭოთა სოფლებს. ისინი გადიოდნენ ქალაქებს, რომლებშიც ფაშისტებმა ათასობით რუსი ადამიანი აწამეს.

საბჭოთა მებრძოლებმა არ იცოდნენ, თუ რა არის შიში და დაღლილობა. ბატარიის მეთაური კონოვალოვი, თავის არტილერისტებთან ერთად გზას იკაფავდა რა სოფლისაკენ, რომლისთვისაც ჩვენი ქვეითები იბრძოდნენ, შეხვდა მოწინააღმდეგის დიდ ჯგუფს. ჰიტლერელები გარშემორტყნენ არტილერისტებს. ისინი წინააწყრა ტყვებიდნენ გამარჯვებით. კონოვალოვმა მებრძოლებს უბრძანა სროლა აეტეხნათ მტრისათვის. არტილერისტები მიბრჯენენ ხვრეტდნენ გერმანელებს. რომლებსაც ეიერში მოჰქონდათ ქვემეხებზე. მათ 300-მდე ფაშისტი გაულიტეს.

„ეს შენ, ეს ბოროტმოქმედ ფაშისტებისა! ეს ბავშვებისა! ეს ბებერ-ბებერ ადამიანებისა! ეს ჩემი ოჯახისა! ეს ჩემი ცოლ-შვილისა! ეს ჩემი ხალხისა! ეს ჩემი ქალაქისა! ეს ჩემი ქვეყნისა! ეს ჩემი ... ეს ... ეს ... ეს